

შეთქმულება მართლმადიდებელ ხალხთა წინააღმდეგ
(დალესის გეგმა მოდიფიკაციებით)

საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე კვლავს დიდი განსაცდელის წინაშე დადგა: მას ომის საზარელმა ქარიშხალმა გადაუარა. იგი დამარცხდა ამ ომში, დაკარგა ისტორიული, ძირძველი, ქართული, კანონიკური ტერიტორიები, მისი გენოფონდი საგრძნობლად შეირყა, ლტოლვილთა ნახევარმილიონიან არმიას ასი ათასზე მეტი ლტოლვილი შეემატა, ერი ფსიქოლოგიურად დაითრგუნა, მისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კატასტროფულია. ეს უკვე ყოფნა-არყოფნის მიჯნაა, თუმცა ასეთ მიჯნაზეც ხსირად ვყოფილვართ: – გავიხსენოთ არაბობა, მონღოლობა, ყიზილბაშობა, თურქობა თუ ლეკიანობა. მაგრამ საბედისწერო ის არის, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აცნობიერებს მარცხის მიზეზებს. მეტიც, აფიტირებულ-აგიტირებული დამარცხებას გამარჯვებად რაცხავს. მეომრები და მოსახლეობა დახოცილ-დაუმარხავი უწევს ბრძოლის ველზე, ის კი კონცერტებს მართავს, შუიებს მისცემია და თავს იტყუებს. ეს ნაწილი არ ეძიებს მიზეზებს საკუთარ თავში, საკუთარ ცოდვებში, იმაში, რომ ქვეყანა გარყვნილებამ მოიცვა, ის კი მონაწილეობს ან ეგუება ამ გარყვნილებას; იმაში, რომ მთელი მანქანაა ამუშავებული მოზარდი თაობის გარყვნისა და გადაგვარებისათვის – ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები, სასკოლო რეფორმა და ა.შ., ის კი წინ არ აღუდგება ამ ბოროტებას; ერის გენოციდი აბორტებისა და პროსტიტუციის ლიბერალიზაცია-ლეგალიზაციის, ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციისა და სხვა მსგავსი მეთოდების პროპაგანდისა და დანერგვის სახით მოქმედებაშია, ის კი იწყნარებს ყოველივე ამას ან თავადაც მონაწილეობს მასში; ქვეყანაში ყველანაირად ხელს უწყობენ სექტანტებს, მწვალებლებსა და თვით სატანისტებსაც კი (მაგალითად, საზოგადოებრივი ტელეარხი), ის კი მხარში არ ამოუდგება ეკლესიას, რათა იხსნას ერი სულისწარმწყმედი მიმდინარეობებისაგან.

სწორედ ამ პირადი თუ საზოგადო ცოდვების გამო მოაკლო ღმერთმა ერს წყალობა და შემწეობა, დაუშვა ჩვენზე დიდი განსაცდელი, რათა გულისხმა ვყოთ და პირი ვიბრუნოთ ღმრთისაკენ, საზოგადოების ხსენებული ნაწილი კი სასოებასა და ხსნას ღმერთში კი არა, რომელიმე პიროვნებაში თუ სხვა ქვეყნის დახმარებაში ეძებს. თუ ერი არ გამოფხიზლდა და ღმრთისკენ არ მიიღრიაკა, სამაჩაბლოს ომის მსგავსი და უფრო დიდი უბედურებები მომავალშიც არ აგვცდება.

თუ როგორ აწარმოა ომი ქართულმა ჯარმა, მისმა მთავარსარდალმა, გენშტაბმა და სხვა სტრუქტურებმა, ამაზე არ შევჩერდებით, ვიტყვით ოდენ, რომ ეს იყო ავანტიურა, რომელშიც ქართული მხარის დამარცხება გარდაუვალი იყო. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ, აფხაზეთის ომის მსგავსად, მარცხი დაგეგმილიც ყოფილიყო. სიტყვას არც რუსეთის როლზე შევაჩერებთ, მოკლედ აღვნიშნავთ, რომ რუსეთი, ცარილტული, ბოლშევიკური თუ ნაციონალური, ცდილობს, გადაყლაპოს საქართველო, არც ერთმორწმუნეობა აფიქრებს, და არც ის, რომ მასონურ-იუდეური გავლენის ქვეშ მოქცეული მისი ხელისუფლება, ბოლშევიკებიდან მოყოლებული - ამჟამინდელი ნაციონალური რიტორიკით აღჭურვილი ხელისუფლებით დამთავრებული, თავადვე წარმატებით მონაწილეობს რუსეთისვე დაშლა-ანადგურების გეგმაში.

ლაპარაკი უსაგნო რომ არ გამოგვივიდეს, მოგვყავს მასალები, საიდანაც მკითხველი დაინახავს იმ მოსაზრებების დადასტურებას, რაც ზემოთ ვთქვით. პირველი, ეს არის ე.წ. დალესის გეგმა, რომელიც შემუშავებული და გამოყენებული იყო საბჭოთა კავშირის დასაშლელად, ხოლო ბოროტების ამ იმპერიის დაშლის შემდეგ იმავე მეთოდებს, სხვადასხვა მოდიფიკაციებით, იყენებენ სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მართლმადიდებელი ქვეყნების, – იგივე, რუსეთის, სერბეთის, საქართველოს – წინააღმდეგ. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ პოლიტოლოგ ბჟეჟინსკის საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ დასავლეთის მთავარი მიზანი მართლმადიდებლობის დამარცხებააო. მეორე, ეს არის დოკუმენტური მასალა იუგოსლავიის დაშლასთან დაკავშირებით, რომლიდანაც ჩვენს სინამდვილესთან რამდენიმე ანალოგიის გატარება შეიძლება.

დალესის გეგმა.

(აღენ დალესი (1893-1969), მუშაობდა აშშ-ს ცენტრალურ-სადაზვერვო სამმართველოში მისი დაარსებიდან, 1947 წლიდან, 1953-61 წ.წ. იყო ამ უწყების დირექტორი, „ცივი ომის“ იდეოლოგი).

დამთავრდა ომი და ყველაფერი დალაგდება და დაეწყობა. და ჩვენ გადავყრით (იგულისხმება „გავიღებთ“ – ავტ.) ყველაფერს, რაც გაგვაჩნია – ოქრო, მატერიალური სიძლიერე ადამიანების გასასულელებლად და დასაჩლუნგებლად.

ადამიანის ტვინი, გონება შეიძლება შეიცვალოს, თუ დავთესთ ქაოსს. ჩვენ შეუმჩნეველად შევცვლით მათ ფასეულობებს. როგორ? ჩვენ ვიპოვით თანამზრახველებსა და მოკავშირეებს თვითონ რუსეთში (ანალოგიურად, სერბეთში, საქართველოში და ა.შ.–ავტ.).

პატარ-პატარა ეპიზოდებით ჩატარდება გრანდიოზული ტრავედია ყველაზე დაუმორჩილებელ ერის დალუპვისა და მოხდება საბოლოოდ ჩაზშობა მისი თვითმყოფადობისა. მაგალითად, ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან ჩვენ თანდათან მოვწამლავთ მათ სოციალურ არსს, დავავიწყებთ მხატვრებს ხატვას, ჩაუკლავთ მათ სურვილს შექმნან ღირებული ლიტერატურა, თეატრი, კინო. ყველაფერი ასახავს და განადიდებს ყველაზე უღირს ადამიანურ გრძნობებს. ჩვენ მხარში ამოვუდგებით და ავამაღლებთ იმ ე.წ. მხატვრებს, რომლებიც ადამიანურ შემეცნებაში ძალდატანებით ჩანერგავენ სექსს, ძალადობას, საღიზმს, ღალატის კულტს (ჩაშვების იდეოლოგიას – ავტ.). ერთი სიტყვით – ყველანი გარყვნილებას. სახელმწიფოს მართვაში ჩვენ შევქმნით ქაოსს და გაურკვევლობას.

ჩვენ შეუმჩნეველად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად ხელს შევუწყობთ ჩინონიკებს მექრთამეობაში, გამოთავყვანებაში და უპრინციპობაში. ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება სათნოებად შეირაცხება. წესიერებასა და პატიოსნებას დასციინებენ და არავის დაჭირდება, ეს იქნება წარსულის გადმონაშთი. თავხედობა და უსინდისობა, ტყუილი და სიცრუე, ლოთობა და ნარკომანია, ღალატი, პირუტყვეული შიში ერთმანეთისადმი და უსირცხვილობა, გამცემლობა, ნაციონალიზმი (!-ავტ.) და ზიზღი ერთა შორის, – აი, ამას დავამკვიდრებთ შეუმჩნეველად, ადგილობრივი, კომპლექსით შეპყრობილი ახალგაზრდების (!-ავტ.) მეშვეობით. ცოტანი თუ მიხვდებიან ან ჩაწვდებიან, თუ რა ხდება მათ თავზე. მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ გამოუვალ მდგომარეობაში, დასაცინად გავუხდით საქმეს, საზოგადოების მუწუკად გამოვაცხადებინებთ. ძირფესვიანად აღმოვფხვრით სულიერ ფესვებს (მაგ., ეკლესიის დისკრედიტაციით–ავტ.) და ერის ზნეობის საფუძვლებს ფეხქვეშ გავათელინებთ ჩვენგან მოსყიდულებს. ასე თანდათან შევარყევთ და დავასუსტებთ თაობებს. ბავშვობიდან დავიწყებთ ადამიანების გარყვნას (სექსუალური განათლება სკოლებში, ტელევიზია და ა.შ. – ავტ.), მთავარი ჩვენი საქმის წარმატებისთვის არის ახალგაზრდობის გახრწნა ჩვენგან დაფინანსებული ფილმებით, სერიალებით, წიგნებით, პორნოგრაფიად ქცეულ ჟურნალ-გაზეთებით. ჩვენ მათგან შევქმნით ცინიკოსებს, პედერასტებს, კოსმოპოლიტებს. აი, ასე იქნება თანდათანობით.

(ნაწყვეტი დალესის წიგნიდან – „სსრკ-ს წინააღმდეგ ომის შემდგომი ამერიკული დოქტრინის რეალიზების შესახებ“)

ხსენებულმა დოქტრინამ წარმატებით იმუშავა სსრკ-ს დაშლაზე. პოსტსაბჭოთა პერიოდში მას სხვადასხვა მოდიფიკაციებით იყენებენ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოში.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ადგილობრივ ხელისუფლებას თავიანთი მიზნების შესასრულებლად. დალესისი გეგმის მსგავსი გეგმები ხორციელდება არა მარტო იმ ქვეყნებში, რომლის ხელისუფლებაც ღიად აცხადებს მხარდაჭერას დასავლეთისადმი, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლის ხელისუფლებაც გარეგნულად დასავლეთის მოწინააღმდეგეა, სინამდვილეში კი დასავლეთის მიერ დანერგილი აგენტია, რომელიც თავისი ქმედებით განაპირობებს დასავლეთის ძალისმიერ ჩარევას ქვეყნის საქმეებში და, შედეგად, მის დაშლას. ამის მკაფიო მაგალითია ყოფილი იუგოსლავია, რომლის პრეზიდენტი, სლობოდან მილოშევიჩი და მისი გარემოცვა დასავლეთის მოკავშირედ გამოვიდა იუგოსლავიის დაშლის საქმეში, თუმცა გარეგნულად, ბინლადენის მსგავსად, დასავლეთისა და ლამის კაცობრიობის მტრად იყო გამოცხადებული. ამის დამადასტურებელი ფოტო მოგვიანებით, მაგრამ მაინც გავრცელდა. ფოტოზე სლობოდან მილოშევიჩი მასონურ ჯაჭვში დგას

ამერიკის დელეგაციის წევრებთან ერთად, რომლებმაც ბელგრადი მონახულეს ბელგრადის დაბომბვის დროს. ის, რომ დასავლეთის უპირველეს მიზანს მართლმადიდებელი ქვეყნების განადგურება წარმოადგენს, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ბელგრადი ყველაზე ინტენსიურად სწორედ მართლმადიდებლური აღდგომის დღეს დაიბომბა, ხოლო ნატოს ჯარის ბომბებს ცინიკურად ეწერა: გილოცავთ აღდგომას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჟაჭვში ჩადგომის დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ, დავფიქრდეთ, თუ ვინ უკეთებს მას ორგანიზებას, რათა უნებლიედ მასონური ან „ეკუმენისტური“ ჯაჭვის მონაწილენი არ გავხდეთ.